ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **01230722906**
თარიღი: **13/03/2023**

ადრესატი: თეიმურაზ ცაავა
პირადი ნომერი: 01024060610
მისამართი: თბილისი ლადო მესხიშვილის ქ. N 16/8

განცხადების ნომერი: 01230543529-67
განცხადების თარიღი: 24/02/2023

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

- საკადასტრო კოდი :01.72.14.009.650
- მისამართი :ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა; ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, მიმდებარედ (ნაკვეთი 09/177)

განმცხადებელი-დამკვეთი :თეიმურაზ ცაავა
პირადი ნომერი :01024060610
მისამართი :თბილისი ლადო მესხიშვილის ქ. N 16/8

ნომენკლატურა :სპეციალური (ზონალური) შეთანხმება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თაობაზე მერის ბრძანებაში ცვლილება /

თქვენი განცხადების შესაბამისად, გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დასკვნასა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებას

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **d16.01230721**
თარიღი: **13/03/2023**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	01230543529-67
განცხადების თარიღი:	24/02/2023
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თაობაზე მერის ბრძანებაში ცვლილება /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.72.14.009.650
მისამართი :	ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა; ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, მიმდებარედ (ნაკვეთი 09/177)
მესაკუთრეები :	შპს "ნიაპოლისი",
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	თეიმურაზ ცაავა
პირადი ნომერი :	01024060610
მისამართი :	თბილისი ლადო მესხიშვილის ქ. N 16/8
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	გოჩა კერესელიძე
საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების რეკვიზიტები :	
აქტის ნომერი :	5884330
ტერიტორიის გამოყენების სახეობა და არსებული ან მინიჭებული პარამეტრები :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	მრავალფუნქციური კომპლექსი
კ - 1 :	0.5

კ - 2 :	4.6
კ - 3 :	0.3
მოთხოვნილი განაშენიანების კოეფიციენტი - კ - 1 და ინტენსივობის კოეფიციენტი - კ - 2 :	
კ - 1 :	0.5
კ - 2 :	4.6
მოთხოვნის შინაარსი :	
მოთხოვნის ტექსტი :	გთხოვთ შეიტანოთ ცვლილება ბრძანება # ბ01.012204610-ში და საცხოვრებელი ფუნქციის პროცენტულობა 75%-ის ნაცვლად დაგვიდგინოთ 80%.
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	საპროექტო ტერიტორია მდებარეიობს ქ. თბილისში დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში (ს/კ 01.72.14.009.650). წარმოდგენილი დასაბუთება მომზადებულია საპროექტო შენობის საცხოვრებელი ფუნქციის გადამეტების მიზნით სპეციალური ზონალური შეთანხმების მისაღებად. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალი დრეის მდგომარეობით განვითარებულია და ვითარდება მრავლბინიანი საცხოვრებელი, სპორტულ გამაჯანსაღებელი და მრავალფუნქციური კომპლექსებით, რომლებიც თავის თავში უმეტესად საცხივრებელ ობიექტებს მოიცავს. ჩატარებული კვლევების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიიდან 50-60 მეტრის მოშორებით 2021 წლის 29 აპრილის #162 განკარგულებით შეთანხმდა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის გრგ 01.72.14.009.523-ით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სადაც დომინირებული ფუნქცია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებია. 01.72.14.009.654-ით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული გრგ და მიმდინარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სამშენებლო სამუშაოები. 01.72.14.009.300 და მიმდ3ებარე ტერიტორიაზე შეთანხმებულია ანალოგიური გრგს პროექტი. ამასთანავე, ტერიტორიის მიმდებარედ ასევე აქტიურად ვითარდება სპორტული კომპლექსები და კომერციულო ობიექტები, რაც მოცემულ ტრერიტორიას საცხოვრბლად სრულიად მისაღებს და უზრუნველყოფილს ხდის. ასევე აშკარაა სამსახურის პოზეცია ტერიტორიის განვითარებასთან დაკავშირებით მხოლოდ ზემოთხსენებული პროექტებიდან გამომდინარეც კი, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში იქნა შეთანხმებული. უშუალოდ წარმოდგენილი საპროექტო მიწის ნაკვეთი (ს/კ: #01.72.14.009.650) სრულიად აკმაყოფილებს ქ. თბილისისათვის დადგენილი 14-39 დადგენილების მოთხოვნებს, ნაკვეთს გააჩნია მისასვლელი საავტომობილო გზა. ყოველივე ზემოთხსენებულის გათავალისწინებით, გთხოვთ შეიტანოთ ცვლიება გაცემულ აქტში და საპროექტო ფუნქცვიური სახეობების გადამეტება დაგვიფიქსიროთ შემდეგნაირად: 80% საცხოვრებელი; 20% სხვადასხვა (ზონით დასაშვები).
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	მერის ბრძანებაში ცვლილება
	ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.650 ფართობი 1 150 კვ.მ) ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) არის მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ- საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს'' ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივ-საქამინი ზონა 2 (სსზ-2)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს - 90%-ისა და დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5* / 0,7

გადაწყვეტილების დასაბუთება :	მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 4.6 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 =0.2/0.3* მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 700 კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 20 მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 30 მ *მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25%-ს; წარმოდგენილი საკადასტრო ერთეული ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონის მიხედვით მდებარეობს პერიფერიულ ზონაში (პზ), რომელიც წარმოადგენს დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილ ტერიტორიულ ელემენტს. საპროექტო ტერიტორიაზე 2022 წლის 15 თებერვლის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის №01.012204610 ბრძანებით გაცემულია სპეციალური (ზონალური) შეთანხმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 75% განთავსების მიზნით. არსებული მდგომარეობით განმცხადებლის მოთხოვნას წარმოადგენს ფუნქციათა პროცენტული გადანაწილების ცვლილება, კერძოდ საცხოვრებელი ფუნქციის გაზრდა 80%-მდე. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების დანართი N1-ით განსაზღვრულია ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დასაშვები სახეობები და ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვები სახეობები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, მათ შორის არის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებულ წესების შესაბამისადაც, განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინაერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში ან გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. 2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით, არანაკლებ 50 კვ.მ.-სა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვრება საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდა. N‌ს/კ01.72.14.009.650 (ფართობი 1150.0კვ.მ.) საკადასტრო ერთეულებზე ფუნქციური ცვლილება ხორციელდება 75%-დან 80%-მდე (სხვაობა 5%) განაშენიანების რეგულირების წესების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ საპროექტო ობიექტისათვის 75% საცხოვრებელი ფუნქციის მინიჭების დროისათვის უკვე მოქმედებდა მაკომპენსირებელი ღონისძიების განსაზრღვრის ვალდებულება და სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაცემულია მაკომპენსირებელი ღონისძიების გათვალისწინებით. შესაბამისად, მოთხოვნილი ცვლილების შედეგად მაკომპენსირებელი ღონისძიების ვალდეულება განისაზღვრება 80%-25% (სხვაობა - 55%). ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გადმოსაცემი ფართი შეადგენს - 116.38 კვ.მ-ს. (1150.0x4,6=5290; 5 290x55%/100=2 909.5; 2 909.5x4%/100=116.38). განმცხადებლის მიერ დაფიქსირებულია დადებითი პოზიცია მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, გადმოსაცემი ფართის შესაბამისი ოდენობის თანხის გადახდის თაობაზე.
	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/ადმინისტრაციული ორგანოების

დასკვნა :	დასკვნის საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით. ვინაიდან, მიმდებარედ ფიქსირდება საცხოვრებელი ფუნქცია, ასევე უშუალოდ საპროექტო მიწის ნაკვეთზეც დაშვებულია საგამონაკლისო წესით საცხოვრებელი ფუნქცია, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს N01.72.14.009.650 საკადასტრო ერთეულზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 15 თებერვლის Nბ01.012204610 ბრძანებაში ცვლილების შეტანა საცხოვრებელი ფუნქციის 80%-მდე გაზრდის მიზნით შესაძლებლად მიაჩნია, განაშენიანების რეგულირების წესებით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიების გათვალისწინებით. ასევე გათვალისწინებულ იქნეს შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული საზოგადოებრივი ფუნქციის ცვლილება მისი შემცირების მიზნით დაუშვებელია. შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში დაფიქსირდეს ვალდებულება: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული საზოგადოებრივი ფართის დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობით.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

სააგენტოს უფროსი

ბრძანება:**ბ01. 012307211**

თარიღი:**13/03/2023**

„ქალაქ თბილისში, დიღმის სასაწავლო საცდელ მეურნეობაში; ქალაქი თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.650; ნაკვეთი 09/177) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 75%-ის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 15 თებერვლის Nბ01.012204610 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 და მე-9 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01230543529-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასაწავლო საცდელ მეურნეობაში; ქალაქი თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.650; ნაკვეთი 09/177) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 75%-ის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 15 თებერვლის Nბ01.012204610 ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, დიღმის სასაწავლო საცდელ მეურნეობაში; ქალაქი თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.650; ნაკვეთი 09/177) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 80%-ის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე“

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „ქალაქ თბილისში, დიღმის სასაწავლო საცდელ მეურნეობაში; ქალაქი თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.650; ნაკვეთი 09/177) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 80%-ის განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება“

გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე“.

დ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით“.

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N01230543529-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი